შიკრიკი

გაზეთი თავის მიზნათ ისახავს—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კლასიურ ინტერესების დაცვას.

ქუთაისი
ოთხშაბათი, 12 ივლისი.
1906
წელიწადი პირველი.
ცალკე № 3 კაპ.

183 დეპუტატმა მიმართეს ხალხს მანიფესტით.—მეიდენმა და სტახოვიჩმა მანიფესტს ხელი არ მოა წერეს.—დეპუტატები ფინლიანდიიდან დაბრუნდენ.—ოდესაში პავრომს მოელიან,—კიევის გუბერნიაში გლეხებმა ფიწლებითა და ნიჩბებით გარეკეს დრაგუნები და კაზაკები.

№ 3. ყოველ-დღიური გაზეთი № 3.

1906 წლის **9** ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„შიკრიკი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., ცალკე № 3 კ.
განცხადების ფასი: პირველ გვერზე პწკარი პეტიტით 15 კ. მეოთხეზე—10 კ.
რედაქცია მოთავსებულია ბალახვანის ქუჩაზედ, ალ. მხეიძის სახლებში № 5.
ფოსტის ადრესი: Кутаисъ редакція „Шикрики“

ქუთაისი, 12 ივლისი.

9 ივლისს გამოიცა მთავრობისაგან ახალი აქტი, საცა დაწვრილებით ახსნილია სათათბიროს დათხოვნის მიზეზები. ამ აქტის დედა აზრი მდგომარეობს იმაში, რომ თვითმპყრობელობა არ მოსპობილა; ვინც არ დაემორჩილება არსებულ კანონებს და წინააღმდეგობას გაუწევს კანონიერ მთავრობას, მათ იცოდენ, რომ ყოველგვარი თვითნებობა და არსებული კანონების დარღვევა მთელი სახელმწიფოებრივი ძალით ალაგმული იქნება. ამ სიტყვების წაკითხვაზე ტანში ჟრუანტელი გივლის კაცს, უნებურათ გაგონდება თვითპყრობელობის განგაში დეკემბერში, იანვარში, თებერვალში, მარტში და ახლაც. ჩვენ ვიცით კარგათ თვითმპყრობელობის კანონები, ვიცნობთ დიდი ხანია მათ აღმასრულებელთ. ამის დაწვრილებით ახსნას მკითხველი აღარ საჭიროებს. ვეჭვობთ, რომ მთავრობის გაკვეთილების შემდეგ, რუსეთის ხალხმა მიიღოს მამაშვილური დარიგება: დაწყნარდით, დამშვიდდით და მიუშვირეთ ზურგი კაზაკების მათრახებსო. ამის დრო წავიდა.

აქტის თავში ნათქვამია, თითქოს მთავრობას თავის ნებაყოფლობით მოეწვიოს ხალხის წარმომადგენლები,—სიმართლესთან დაშორებულია. ერთი წლის განმავლობაში თვითონ მთავრობის ანგარიშით 15000 მოკლეს მოძრაობაში მონაწილეობისათვის და 20000 დასჭრეს. აი რა შედეგი იყო 17 ოკტომბრის მანიფესტი, რომელიც მთავრობამ თებერვლის და აპრილის აქტებით სრულიათ გააუქმა. როგორც ამ აქტიდან ვტყობილობთ, უმთავრესი წარმომადგენლობის მოწვევისა ყოფილა ხალხში სიბნელის გაფანტვა და ხალხის ჭირ-ვარამის განკურნება მიწათმფლობელობის პირობათა შეცვლით. მიზანი საუცხოვოა, რა თქმა უნდა. დამამტკიცებელი საბუთები ალბათ წასულშიც მოინახება, თუ როგორ ზრუნავდა მეფის მთავრობა ხალხის განათლებაზე და ხალხის ჭირვარამის განკურნებაზე. უტყუარი ციფრები მოწმობენ, რომ ორი მილიარდიდან ხალხის განათლებაზე მხოლოთ 24000000 მილიონი იხარჯებოდა და ამავე დროს მეფის სასახლეზე კი 13000000; ჯარისთვის „სმეტის“ ძალით 400000000 მილ. არის გადადებული და ამავე დროს უკანასკნელ წლამდის, სანამ ჯარის კაცებმა თვითონ არ მოითხოვეს, სარეცხ საპონსაც არ აძლევდენ; თვითეული სალდათის გაჭირვებული მამა ექვს-შვიდ თუმანს სესხულობდა და უგზავნიდა წელიწადში. მიწა როგორც ამდენ ხანს მიიღეს გლეხებმა საგლეხო ბანკის დახმარებით, ისე აწი უნდა ჰქონდეთ იმედი! რამდენიმე წლის წინათ უმაღლეს დაპირებას დიდი გასავალი ჰქონდა, საბედნიეროთ ახლა დრონი იცვალენ. ყველაზე უფრო საინტერესო მანიფესტში ის ადგილია, სადაც ნაჩვენებია სათათბიროს დათხოვნის მიზეზები. ჩვენ გუშინაც აღვნიშნეთ, რომ სათათბიროს სასტიკმა მხილებამ მეფის მოხელეთა ძველს და ახალ ცოდვებში და პატარა ნაბიჯის გადადგმამ ხალხისაკენ ცოტა რამ სიმართლის სათქმელათ, მთავრობა აიძულა უკიდურეს საშუალებისათვის მიემართა. არ მოვტყვილდით. მანიფესტში შემდეგია ნათქვამი: ხალხის წარმომადგენლებმა კაკანონდებლობით მუშაობის მაგიერათ მოკიდეს ხელი მათთვის არ მიკუთნებულ დარგს, შეუდგენ გამოკვლევას მოქმედებათა ჩვენ მიერ არჩეულ და დაყენებულ მთავრობათა... ამით ისინი არ დაკმაყოფილდენ: ხალხის წარმომადგენლებმა უკანონოთ მიმართეს ხალხს სათათბიროს სახელით. ასეთ ახირებულს რამეს, მართალი გითხრათ, მეფისგან არჩეულ და დაყენებულ მთავრობისგანაც არ მოველოდით. პირველათ ყოვლისა უნდა სიმართლე აღვადგინოთ სათათბიროს შესახებ, რადგანაც სრულიათ დაუმსახურებელი ცილის-წამებათ უნდა ჩაითვალოს ის, თითქოს სათათბირომ კანონმდებლობას თავი დაანებაო. ორი თვის განმავლობაში ძლიერ ბევრი კანონ-პროექტი შევიდა სათათბიროში, განიხილეს კიდეც და სამინისტროს გადაცეს აზრის გამოსათქმელათ. ბრალი, თუ ვისმეს აქვს იმაში, რომ ამ მოკლე დროში ერთი ორმოცი ტ მეტიც ახლათ გამომცხვარი კანონი არ შეეძინა რუსეთის ხალხს, ეს უფრო გორემინკინის სამინისტროს, რომელიც სარგებლობს კანონის იმ მუხლით, საცა ნათქვამია, რომ ერთი თვე ეძლევა ვადათ მინისტრებს თავის აზრის შესადგენათ; რაც შეეხება მთავრობის მოქმედებათა გარჩევას, ეს მართალია; ამას კი ჰქონდა ადგილი სათათბიროში. ბევრი რამ საინტერესო გამოიკვლია, ბევრ ბნელ კუთხეებს აეხადა ფარდა. ბევრი ურწმუნო თომებიც იძულებული გახთენ თავადი ურუსოვის სიტყვის შემდეგ, რომ „პაგრომებს“ უმაღლესათ არჩეული მთავრობა აწყობს. ჩვენ გვწამს, რომ ასეთი რამეს გამომჟღავნება მთავრობას არ ესიამოვნებოდა, მაგრამ უნდა ცოდნოდათ იმ ვაჟბატონებს, რომ სამუდამოთ დამალვა ასეთი საზიზღრობის ყოვლად შეუძლებელი იყო. რაც შეეხება იმ საყვედურს, რომ სათათბირომ ხალხს მიმართაო, ამაზე მხოლოთ იმას ვიტყვით, რომ სათათბირომ ჩვენდა სამწუხაროთ ვერ გამოიჩინა ამ შემთხვევაში შესაფერი გაბედულება, ბევრი სიმართლე დამალა; მან არ უთხრა ხალხს, რომ მშვიდობიანი გზით კამარილიას თავიდან მოცილება, მიწის მიღება უბრძოლველათ შეუძლებელიაო, ამ შეცდომის გასწორებას აწი უნდა შეუდგეს კანონს გარეშე მდგომი სათათბიროო.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთი თვე ტაგრიდის სასახლეში. *)

„ადგილობრივ, დაქსასულ აჯანყების დ ამბოხების ხანას რუსეთში ბოლო მოეღო. **დადგა დრო „მწყობრი ზაერთიანებული რევოლიუციისა“.** კ. კაუცკი.

ძველი რეჟიმის დროს გამეფებული პოლიტიკური კრიზისი შედეგი იყო საუკუნოების განმავლობაში მის მიერ ნამოქმედარისა. ის ისეთ ღრმა და რთული შეიქნა, რომ, არც ერთ სახელმწიფო დეკრეტებს და არც სენატის ცირკულიარებს არ ემორჩილებოდა. ღელავდა და ბობოქრობდა კრიზისში გახვეული ხალხი ახალი პოლიტიკური წყობილების შესადგენათ, რომლის რევოლიუციონურმა შეტევამ წარმოშვა სახ. სათათბირო. ამ პოლიტიკური დაწესებულების სახე და სულის კვეთება სავსებით ვერ გვიხატავს ხალხის მდგომარეობას და სულის კვეთებას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა და წინააღმდეგ ბიუროკრატიის სურვილისა თან უნდა დაყოლოდა რევოლიციონური სული. სათათბიროს უმეტესობამ მშვიდობიანი და ზრდილობიანი პოლიტიკური გზა აირჩია და ამით ფიქრობდა რევოლიუციის შეჩერებას რეფორმების მეოხებით. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამნაირი რეფორმატორული ილლიუზიები თვითონ მთავრობამ, თავის მხეცური გალაშქრებით ქვეყანაზე, გაუფანტა მას. ხალხის მდგომარეობა ახლა უფრო მკაცრათ წარმოსდგა სათათბიროს წინაშე, რომელიც თხოულობდა შესაფერს ლაპარკს, კანონს და შესრულებას. სწორეთ ამ დროს მიაღწევენ ჩვენი დეპუტატები სათათბიროში, რომლებიც ყოფენ სათათბიროს ყველა ჯგუფებს და აარსებენ სოც. დემოკრატიულ ფრაქციას. ამ დღიდან სათათბიროს პოლიტიკური ჩანგი უფრო რევოლიუციონურ ჰანგზე უკრავს და უფრო ნათლად ირკვევა მემარჯვენეთა, ცენტრისა თუ მემარცხენეთა პოლიტიკური საზომი. საკმაო იყო სოც. დემოკრატიულ ფრაქციის მიერ თავის დეკლარაციის წაკითხვა, რომ მას ხელის გულზე გადაეშალა რუსეთის ხალხის მოთხოვნილებანი, რომელსაც ატარებს პროლეტარიატი და მასთან დაბეჩავებული გლეხობა. სოც. დემ. ჯგუფი აცხადებს, რომ პროლეტარიატი მიდის ყველა კლასებზე წინ განთავისუფლების საქმეში და სხვასთან ერთად იბრძვის მთელი ხალხის მჩაგვრელ-დამმონავებელთა წინააღმდეგ. დეკლარაცია ამბობს:“ მუშა ხალხს ესაჭიროება ბრძოლისთვის ყოვლათ შევუზღუდველი და ფართო თავისუფლება ვისაც იგივე გაინტერესებს შემოგვიერთდით ჩვენ. მხოლოდ ჩვენს პრინციპებს, მიზანს და იდეალს ვერავის დაუთმობთ, რომლის განსახორციელებლათ ვიშველიებთ დროს შესაფერ პოლიტიკას; ჯგუფმა მოითხოვა: მუშათა კლასისთვის 8 საათის სამუშაო დღე, ქირის მომატება, ჯარიმების მოსპობა და სხვა. გლეხებისთვის მიწები უსასყიდლოთ, ყველა ერებისთვის თანასწორი უფლებები. ყველა ამ დიდ საქმეების შესრულება, რადგანაც უუფლებო დუმას არ შეუძლია ამისთვის მოვითხოვთ დამფუძნებელ კრებას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით არჩეულს; ამასთანავე ს. დ. ჯგუფი მხარს დაუჭერს სახ. სათათბიროს ყოველ ცდას, რომელიც კი

*) დაწვრილებით ს. დ. ფრაქციის მოქმედების შესახებ მოკლე ხანში გვექნება უფრო ვრცელი წერილი.

რედ.

მიმართული იქნება აღმასრულებელი ძალის ხელში ჩაგდებისაკენ, რომ ამით საძირკველი ჩაყაროს ხალხის ხელში სახელმწიფო ძალის გადასვლის საქმეში. ს. დ. ჯგუფი მოითხოვს სათათბიროსაგან, რომ მან მხარი დაუჭიროს პროლეტარიატის, გლეხების, ჯარის კაცების, მეზღვაურთა და კაზაკების სამართლიან მოთხოვნილებებს. ჯგუფი აცხადებს, რომ სახ. სათათბიროს ის ორგანოთ თვლის როგორც ერთ პოლიტიკურ საფეხურთაგან ხალხის საერთო მოძრაობაში, რომლიდანაც შემდეგ მიისწრაფვის დამფუძნებელ კრების ხელში ჩასაგდებათ. უჭერს მხარს პროგრესიულ დუმას, გადაყავს რევოლიუციონურ გზაზე და მასთან ერთად ცდილობს განახორციელოს დემოკრატიული მოთხოვნილებანი. ჯგუფი და პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეთანხმებით მოქმედობენ და ერთმანეთში შეთანხმების შემდეგ ს. დ. ჯგუფი დუმაში ატარებს მთელი რუსეთის ს. დ. პარტიის პოლიტიკას. ამ მწყობრმა მუშაობამ გარემოების ძალდატანებით სრულიად შეცვალა დუმის ზომიერი პოლიტიკა ⁄ უმეტესობა მარცხნივ რევოლიუციისაკენ გადაიწია, რომელმაც მეტი რევოლიუციონური გამბედაობა დაბადა დუმაში. ჯგუფი შეეტაკა თუ არა მინისტრებს და მთავრობას, ზოგიერთმა ზომიერებმაც მხარი მისცეს და ჯგუფთან ერთად მოითხოვდენ მთავრობის პასუხის გებაში მიცემას, ხალხის აოხრებისათვის მის დასჯას და გაძევებას, სახ. საქმეების ხალხის ხელში გადატანას. მაგრამ, რადგანაც ჯერ კიდევ არ არის, როგორც ეტყობა, ხალხის რევოლიუციონური ხმა კარგათ შეერთებული და შეწყობილი, ამიტომ მთავრობის გასამართლების წამი დროებით გადაიდვა. სამაგიეროთ სამხედრო მინისტრის წარმომადგენელს გენერალ-პროკურორს პავლოვს შესაფერხათ მოექცა: კაცების მკვლელი, როცა ტრიბუნაზე ავიდა, იმის საბუში სათათბიროს დაინახა მთელი რუსეთის პირქუში და ხალხის მჭამელი ბიუროკრატია, «ჯალათის» სახელით მოწათლა ⁄ ერთხმათ ზიზღით კარში გააგდეს.

დიდათ საინტერესო მომენტი იყო როდესაც ს. დ. ჯგუფმა თავის კანონ პროექტი შეიტანა დუმაში, რომელშიც ჩვენი პროგრამის თანახმათ გატარებულია სრული თავისუფლება, სადაც ვერ უნდა გაერიოს პოლიციის აპეკუნობა, პოლიციური მზრუნველობა, პოლიციური შევიწროება, არამედ უნდა იყოს სრულიად თავისუფალი. მოხერხებულმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა, და კულტურულმა მოთხოვნილებამ გული გაუხსნა ბ. მ. კოვალევსკის და მან მედგრათ დაუჭირა მხარი ს. დ. ჯგუფის კანონპროექტს. მეცნიერის ასეთმა გაბედულმა ნაბიჯმა ბევრ ლიბერალს გაუხსნა პირი მის წინააღმდეგ გასალაშქრებათ, რაზედაც ის უპასუხებდა: პოლიცია საჭირო არაა ერეოდეს კრებებში, ვითომ მისი წესების დასაცველათ, ნამდვილათ კი კრების თავისუფლების შესაზღუდველათ.

ამხანაგები ადვილათ შენიშნავენ, რომ (16 ივნისიდან) ს. დემოკრატიულ ჯგუფის დაარსების შემდეგ საერთოდ დუმის პოლიტიკა იკვლება, უფრო ცხოველდება და მთავრობის საწინააღმდეგოთ უფრო ერთდება. ამ გზით ჯგუფი მიილტვის თავის მიზნისაკენ და მოხერხებულათ უწყობს ხელს დუმის უმეტესობის რევოლიუციისაკენ გადაწევას. მეორე მხრით ს. დ. ჯგუფი ატარებს პირდაპირ პარტიის პროგრამას. თან და თან იძენს ძალას და დღითი დღე ძლიერებს თავის გავლენას პოლიტიკურს და ეკონომიურს კითხვების გადაჭრაში. ასეთი ძლიერი პოლიტიკა, მეცნიერული ნიადაგი და პროგრესიული რევოლიუციონური მიმდინარება შეიქნა ს. დ. ჯგუფის ნიშნობლივ თვისებათ, რომელმაც შეაკრთო და აალაპარაკა არა მარტო მინისტრთა ბაგენი, არამედ კამარილასაც მოუვლინა ცივებ-ცხელება და ბოდვა დააწყებინა, რომელ ბოდვაშიაც მისმა ბელადმა ტრეპოვმა თქვა უმჯობესია, რევოლიუციის თავიდან ასაცილებლათ დუმის უმეტესობიდან შედგებოდეს სამეაისტრო მარა თუ ეს არ შეიძლება, მაშინ მთავრობამ ყოველი ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოს ხალხის მოძრაობა ჩააქროსო. ბოსთ კადეტების სამინისტროს მეფის მთავრობამ ამჯობინა სათათბიროს დათხოვა და ამით ფიქრობს თითქოს რევოლიუცია სამუდამოთ ჩააქრო.

ფარიანი.

ს.-დემოკრატია ⁄ სათათბიროზ.

დღეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია რამოდენიმე ს.-დ. ლიტერატორების თანადასწრებით არჩევდა კითხვას ხალხისადმი მიმართული დუმის დეკლარაციაზე, რომელიც გამოიწვია მთავრობის განცხადებამ აგრარულ რეფორმაზე. ფრაქცია დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ აკტს დუმის მხრივ

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კითხვამ სოც.-დემოკრატიული ფრაქციის ამ დეკლარაციაში მონაწილეობის მიღებაზე და იმ ოპოზიციაზე, რომელიც მან უნდა დაიჭიროს დეკლარაციის გარჩევის დროს დუმაში. მეუმრავლესეების წარმომადგენლები პირველათ თხოულობდენ, რომ ფრაქციამ უარი განაცხადოს დუმის დეკლარაციაში მონაწილეობის მიღებაზე; თუ მან თავიანთი ხმებით მხარი დაუჭირა დუმის პროექტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მიდის კადეტებთან ერთათ. მეუმცარესეებს ასეთი შეხედულება შეცდომათ მიაჩნიათ: მისი ცხოვრებაში გატარება ფართო ხალხის მასაში ყალბ წარმოდგენას განამტკიცებს: თუ მაგალითად, დუმის უმრავლესობა რევოლიუციონურ მოთხოვნილებებს წამოაყენებს, ნუ თუ ს.-დ. მას მხარს არ დაუჭერენ მხოლოთ იმიტომ, რომ მათ მოუხდებათ კადეტებთან ერთათ მოქმედება? ამ შემთხვევაში სოც.-დემოკრატიული ფრაქციის უკან დაბევა ნიშნავს, ხალხური მოთხოვნილებების მხარის არ დაჭერას. სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის წევრებმა განაცხადეს, რომ ფრაქცია დუმის დეკლარაციას მხარს დაუჭერს, თუ მიღებულ იქნებიან აგრარული კომისიისაგან შემუშავებულ პროექტში სოციალ-დემოკრატებისაგან წამოყენებული შესწორებანი. ამ პროექტში არის ორი მუხ., რომლებსაც სოც.-დემ. ვერასოდეს ვერ დაეთანმეებიან. პირველში იმაზე ლაპარაკი, რომ დუმამ გამოსთქვა სურვილი სავალდებულო მიწების ჩამორთმევაზე, მაგრამ ჩამორთმევის საშუალება სხვა და სხვანაირია. დეკლარაციის ბუნდოვანობა შეიძლება აიხსნას გამოს ყიდვით ჩამორთმევის სასარგებლოთ. სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ ამას დაეთანხმონ. მეორე პუნქტში დუმა მოუწოდებს გლეხებს დაწყნარებისადმი და ამცნობს, რომ ის თვითონ უკვე შეუდგა და ეცდება მიწის საკითხი გლეხების ინტერესების სასარგებლოთ გადასწყვიტოს. სოციალ-დემოკრატებმა კატეგორიულათ უარი განაცხადეს ამ პუნქტის შესახებაც: მხოლოთ დამფუძნებელ კრებას, მოწვეულს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით, შეუძლია საბოლოოთ გადასწყვიტოს მიწის საკითხი; ეხლანდელ დამახინჯებულ დუმას კი შეუძლია მხოლოთ ნიადაგი მოამზადოს ამ რეფორმისათვის, დროებითი -ზომებით შეამსუბუქოს გლეხების უნუგეშო მდგომარეობა. ფრაქციამ გადაწყვიტა მიიღოს მონაწილეობა დუმის დეკლარაციის შემუშავებაში და შეიტანოს თავისი შესწორებანი სავალდებულო მიწების ჩამორთმევის პუნქტში. სოც. დემოკრატებს აზრათ აქვთ უჩვენონ ორ მიმართულებაზე დუმაში მიწების ჩამორთმევის საშვალების შესახებ, აუხსნან, რომ ერთი მათგანი თხოულობს კერძო მესაკუთრეთა მიწების სავალდებულო ჩამორთმევას გამოსყიდვით. მეორე კი (სოც. - დემოკრატები)—თხოულობს სავალდებულო ჩამორთმევას სახაზინო, საკაბინეტო, სამონასტრო, საუფლისწულო და კერძო მესკუთრეთა მიწებისას.

სოციალ-დემოკრატები ამ შემთხვევაში დამფუძნებელი კრების მოწვევას არ მოითხოვენ, რომ ხელი არ შეუშალონ დუმას დეკლარაციის შემუშავებაში. თუ სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებული შესწორებანი მიღებული არ იქნებიან, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია უარს განაცხადებს ხმის მიცემაზე და მოითხოვს დუმამ მოისმინოს სოც.-დემ. ფრაქციის მიერ შემუშავებული დეკლარიცია. (პუტ.)

ახალი ამბები.

—

❋❋ ს. დ. ორგანიზაცია გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

15 ივლისს სოფ. წევაში (შორაპ. მაზ.) ყოველ წლობით იმართება დიდი ვაჭრობა, რომელსაც მთელი ზემო იმერეთის მცხოვრებნი ესწრებიან ხოლმე წელსაც ვაჭრებს სურვილი ჰქონიათ ჩვეულებრივი ვაჭრობა გამართონ ს. წევაში, მაგრამ ვიღაცებს ხმები გაუვრცელებიათ: ს. დ. კომიტეტმა ვაჭრობა 15 ივლისისთვის აკრძალაო. კერძოთ ამ გვარი საჭვარით მოგვმართეს რამდენიმე ვაჭრებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ზემოთ მოყვანილ ადგილებიდან ხალხი ჩამოსულა ყოფილა ხალხში გავრცელებული. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არავითარი ამ გვარი განკარგულება ს. დ. კომიტეტს არ მოუხდენია და ვაჭრებს ხელს არავინ შეუშლის ვაჭრობაში.

❋❋ 10 ივლისს, დილის 12 საათზედ, დროებით ქ. ქუთაისში მცხოვრები ფილიპე ივანესძე კიკნაძე შესულა ბარათაშვილის ფართლის მაღაზიაში და მოუპარავს ერთი თოფი ჩითი. ქურდი კიკნაძე ბოქაულმა ბახტაძემ დაიჭირა და საქონელი პატრონს დაუბრუნა; კიკნაძე დაატუსაღა.

❋❋ კვირას, 9 ივლისს, დ. ჭიათურაში ი. ზარდალიშვილის გამგეობით წარმოადგინეს ახალი პიესა „**სიმდიდრის მსხვერპლი**“, თვითონ პიესა თანამედროვეა ⁄ შინაარსიანი, მხოლოდ აკლია ტეხნიკური მხარე. კარგი იყო ქ. ურბნელი (თამაროს როლში) მიხვრა მოხვრით და ხმით; მშვენივრად იმღერა „ქრიან ქარნი“. კარგი იყო აგრეთვე ი. ზარდალიშვილიც (გიორგის როლში) დანარჩენები საერთოთ ხელს უწყობდნენ ანსაბლს.

❋❋ გადაითარგმნა: „ადამიანის და მოქალაქის უფლებანი“ ნ. კაბანოვისა; „ოლქობრივი ხალხის მართველობა“ მისივე. „პიროვნების თავისუფლებაზე“ ნ. რ—სა.

❋❋ სოფელ ფუთში (შორაპნის მაზრაშია), როგორც იქიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, 9 ივლისს ღამით დიდი კეხი მოსულა და ჭირნახული სულ ერთიან გაუნადგურებია.

❋❋ „ჩერ. ვეს.“ ატყობინებენ, რომ გურულთა შეიარაღებულ ორგანიზაციის საბრძოლელად „ბახმაროს“ მიდამოებში, მოუხდენიათ განკარგულება იარადი ახადონ იქ მცხოვრებლებს. ამას გარდა ოზურგეთში მდგომ რაზმის უფროსისთვის მიუნდვიათ დაიჭიროს და ციხეში ჩამწყვდიოს ის პირები, რომლებიც პოლიტიკურად არა კეთილ-საიმედონი არიან.

❋❋ გუშინ, 10 ივლისს, ღამის $10^1/_2$ საათზე ყაზახებმა შეაჩერეს თფილისის ქუჩაზე მიმავალი ბ. ა. ძ—ი; შემოეხვივნენ გარშემო და დაუწყეს ჯიბეების ჩხრეკა. დიდ ხანს უფათურეს ჯიბეებში ხელი და რომ ვერა იპოვეს რა მათთვის სასარგებლო გაუშვეს. ჩხრეკის დროს ყაზახები, როგორც თითონ სთქვეს რევოლვერს ან სხვა რამ იარაღს ეძებდნენ. თუმცა საფულეში არავითარი იარაღის შენახვა არ შეიძლება, მაგრამ ყაზახებმა არც ის დასტოვეს გაუჩხრეკელი.

კავკასიის ქრონიკა.

—

— მიხაილოვის საავადმყოფოში, მას შემდეგ, რაც იქ დააწვინეს მოსარჩენათ დაჭრილი პოლიცმეისტერი, იცავს 32 ჯარის კაცი.

— როგორც გაზეთი „დნი“ გადმოგვცემს, თფილისში გაფიცულნ სააკიანცის ფეხსაცმელის სახელოსნოს მუშები და წარუდგენიათ ეკონომიური მოთხოვნილებანი.

— ალექსანდროპოლიდგან „უწ-

ყებიან, რომ იქ სამხედრო ცეიხგაუზიდან 5 ივლისს გაუტაციათ უცნობებს რამოდენიმე ათეული თოფი, 70 რევოლვერი და აუარებელი პატრონები.

— ბაქოს დროებით გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მიცა სალიანი პოლკის ოფიცრებს, დაეჭირათ ბაქოს პოლიცმეისტრის თანაშემწის ადგილი, მაგრამ აფიცრებმა კატეგორიული უარი განაცხადეს.

— ს. ეწერში (ზუგდ. მაზ.) მოუკლავთ ადვილობრივი მიწათ-მფლობელი აზნაური ანტონ თავბერიძე.

— სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, როგორც გაზ. „დნი“ იუწყება, დაუბინავებიათ მე 15-ტე გრენად. პოლკის ერთი ბატალიონი.

— ქ. ფოთში და კინტრიშის უბანში ნამესტნიკის ბრძანებით 4 ივლისს გამოცხადდა სამხედრო წესები. დროებით გენერალ-გუბერნატორად ინიშნება მიხეევი.

მეგობარს.

მეგობარო! უკუ აგდე
დიაცური ჭმუნვა, დარდი,
ბრძოლას ითხოვს მედგარ ბრძოლას
სატრფიალო განთიადი!
წინ! წინ გასწი მხნეთ და მედგრათ,
არ უხარო მტარვალთ ქედი,
დე, გესროლონ მათ ისრები,
გაგიგმირონ თუნდ გულმკერდი!
თუ კი გესმის ჩაგრულ ხალხის
იდუმალი გულის ძგერა,
ან თუ შეგწევს ძალა ბრძოლის,
გწყურს სიმართლის დროშის ჭერა,—
წინ! წინ გასწი! წინსვლაშია
მებრძოლისა მხოლოდ ძალა...
ვაშა, ვაშა მას, ვინც თავი
მთლათ განთიადს ანაცვალა!
მეგობარო! მაშ გაფანტე
დიაცური ჭმუნვა, დარდი;
ბრძოლას ითხოვს, ბრძოლას მედგარს
სატრფიალო განთიადი!

ქან—დონ.

პროვინცია.

სვანეთი. 4 ამ თვეს ცაგერიდან გაემგზავრა ჯარი სვანეთისაკენ და იმავე დღეს შევიდენ პირველ საზოგადოებაში „ლელტეხში“. იმ ღამეს დაბარგდნენ იმ საზოგადოებაში და საქმემ მშვიდობიანათ ჩაიარა. მეორე დღეს გაუდგნენ გზას ს. ჩოლურისაკენ და დაღამებისას შევიდენ ამ საზოგადოებაში, სადაც ჯარი შეჩერდა ორი დღით. ჯარის უფროსმა შიშკევიჩმა წარუდგინა ხალხს შემდეგი მოთხოვნილებები: 1) იარაღის დაყრა; 2) მეთაურების ხელში მიცემა; 3) გადასახადების გადახდა 4) სალდათის მიცემა, 5) ფიცი მიიღონ დღეის იქით მთავრობის ერთგულებაზე და სხვა და სხვა.

იარაღის დაყრის შესახებ უპასუხეს სვანებმა „თუ თავადები დაყრიან და იმ პირობას მოგვცემენ, რომ დღეის იქით ჩვენ მათ იარაღს არ დაუნახავთ, იმ შემთხვევაში ჩვენც დავყრით, თუ არა და არა. რადგანაც ჩვენ შეუიარაღებელ ხალხს მერე თავადები, შეიარაღებულნი უშიშრათ დაგვიწყებენ ლანძღვასა და ქადილსო“—შიშკევიჩმა კანონიერათ სცნო ხალხის მოთხოვნილება და ჩამოართვა იარაღი თავადებს. შემდეგ ხალხმაც მიიტანა რამოდენიმე დამტვრეული და უვარგისი თოფი. მეთაურების შესახებ „ეძიეთ იმერეთში, რა ვიცით ჩვენ ვინ იყვნენ, მოდიოდნენ და მიდიოდენო და საიდან მოვძებნოთ ჩვენ ისინიო“. ფიცის მიღების შესახებ თავადებისა და მთავრობის ერთგულობაზე უარი უთხრეს. „ჩვენ დაფიცებული ვართ და ამდენ ფიცის გატეხას სიკვდილი გვირჩევნიაო“ და ისე პატიოსან სიტყვას გაძლევთ თქვენი მოთხოვნილებები დავაკმაყოფილოთო. ამ საზოგადოებაში ხმა გავრცელდა თითქო სამი ქართველი სალდათი ჩუმათ ხალხში პრაპაგანდას ეწეოდენ და დარიგებას აძლევდენ ხალხს. ეს ამბავი გაუგიათ. გარდაფხაძეებს და დიდებულ ჯაშუშებს სასტიკათ დაუსმენიათ შიშკევიჩთან. გაუგიათ სახელი და გვარი ამ სალდათების და შემდეგ დიდიფაცა ფუცით შეუდგენ თურმე გამოძიებას, მარა სალდათები გამართლდენ და თავადებმა დიდი საყვედური მიიღეს შიშკევიჩისაგან მადლობის ნაცვლათ, ამავე სოფლიდან გაგზავნა შიშკევიჩმა კაცები ზემო სვენეთში და შეუთვალა მათ, თუ დეპუტაციას გამოგზავნით და დააკმაყოფილებთ ყველა ჩემ მოთხოვნილებებს, იმ შემთხვევაში მე მადლობას გადაგიხდით და უკან დავბრუნდებიო“ ჯარის თანმხლებელ თავადები რომ შიშკევიჩმა პირდაპირ წასვლა არ გადასწყვიტა მათი სამეფო სვანეთში და ხალხს ნამეტან ზრდილობიანათ ებყრობოდა, როგორც შიშკევიჩი, აგრეთვე ჯარის კაცებიც, ამაზე გაჯავრდნენ. ისინი მაინც დაჟინებით თხოულობდენ პირდაპირ წასულიყვნენ ზემო სვანეთშიაც. შიშკევიჩმა თ-ბის საქციელი ბრძანებლობათ, ჩათვალა, გალანძღვათ მიიღო და საკადრის სიტყვებით მიმართა მათ. ამის შემდეგ თ-ბი უკან დაბრუნდენ. რომ პროვოკაციამ არაფერი გამოიწვიოს, თვითონ სვანები დაყობიან მას. სოფელ ჩოლურიდან შიშკევიჩმა გაგზავნა აგრეთვე შუამავალი კაცები სვანები სოფელ ლაშხეთში, რომელიც ითვლებოდა ყველაზე უფრო დამნაშავეთ სვანეთში და შეუთვალა მცხოვრებლებს: „მე მოვდივარ თქვენთან მშვიდობიანის გზით, მშვიდობიანობის დასამყარებლათ და არა რაიმე ბოროტ განძრახვით და რა აზრისა ხართ შამომითვალეთო“. იმ სოფელმა მისცა პასუხათ: თუ მართლაც შეგიძლიათ თქვენი სიტყვები გაამართლოთ, მობძანდით ჩვენ მზათა ვარ პატივისცემით მიგიღოთო, და შიშკევიჩიც გაემგზავრა სოფელ ლაშხეთისაკენ. გზაზე წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, შევიდნენ სოფელში და დაბარგდნენ. ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა და შეიძლება აქაც მშვიდობიანად ჩაიაროს საქმემ და ეს უკანასკნელი იმედი და სურვილი სვანეთის აწიოკებისაც გაუცრუვდეთ თავადებს. ჯარში ნამეტანი მღელვარება არის, რადგან გზაში ბევრი სიმწარე და გაჭირვება გამოიარეს თურმე და აბრალებენ ამას მარტო თავადებს და არა ხალხს და გაიფიცნენ რომ თუ ვინმე ჩვენთაგანი ავადმყოფობით მოკვდეს მაშინ ჩვენი ხელით მოვკლათ თავადებიო. ზემო სვანეთში წასვლის შესახებ სალდათებიც პროტესტს უცხადებდნენ თურმე.

მეოცალ-ეურე.

გაფიცვა საქარის და არგვეთის სატდელ მინდვრებზე მუშათა შორის.

პირველად გაფიცვა გადაეწყვიტა საქარის „პიტომნიკის“ მუშებს, რომლებსაც მხარი დაუჭირა არგვეთის „პიტომნიკის“ მუშებმა. ორივე პიტომნიკში 19 კაცი მუშაობს. მათი გაფიცვა უმთავრესად ეკონომიური იყო, და ეკონომიურადვე დარჩებოდა უთუოდ, რომ ერთ ინციდენტს, მებაღე ბ. ჩივაძისა და ბ. პროზეროვის შორის არ გაერთულებია გაფიცვის საქმე.

მუშების აზრით, ინციდენტის მოსვლამდისაც ქონიათ მათ ლაპარაკი და მზადება გაფიცვისთვის. როცა ინციდენტს წამოუყვია თავი მაშინ, უსიამოვნო გართულებას ვხვდებით გაფიცვის საქმეში. ამიტომ პირველათ უნდა გავიგოთ ინციდენტის თვისება და შემდეგ გადავიდეთ მუშების საკითხზე.

ბულგალტერმა ბ. პროზეროვმა ბ. გარაევის ნებართვით ცოტაოდენი სილა დააყრევინა თავის სახლის წინ. სახლის წინ დაყრილი სილა უნახავს ბ. ჩივაძეს და დაუწყია დამყრელის გაკიცხვა. ბ. პროზეროვი სახლიდან გამოსულა და ჩივაძისთვის აუხსნია, რომ ბ. მმართველის გარაევის ნებართვის შემდეგ დავყარე სილაო. ეს ჩივაძეს საწყენათ დარჩენია და უთქვამს ბაღი მე მაბარია, მე ვუვლი და უჩემოთ ეს არ შეიძლება. პროზეროვს უპასუხია, მე არ მესაჭიროება თქვენი ნებართვაო. ამას შემდეგ ორივეს გული მოსვლია და დაშლილან, მხოლოდ დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ ბ. ჩივაძე კანტორაში შესულა და პროზეროვისთვის მოუთხოვია ახსნა: რათ გამლანძღეო. ბ. გარაევიც იქ ყოფილა. პროზეროვს უპასუხია, მე არაფერი მსურს თქვენ აგიხსნათო. იმ წამშივე ბ. ჩივაძე მივარდნია და ბ. პროზეროვისთვის სახეში გაურტყამს ხელი, რომელსაც ორი კვირის შემდეგაც კი აჩნდა თვალის სიახლოვეს დალილავებული ადგილი.

ამ ინციდენტს შემდეგ დაუყოვნებლივ მუშების წინანდელი მღელვარება გაფიცვათ ცხადდება. მოთხოვნილებებს ადგენენ. მოთხოვნილებები გაზ. „შრომაში“-აც მოთავსებულია შემდეგნაირათ: 1. მუშებთან ზრდილობიანათ მოპყრობა; 2. ჩივაძის თავის ადგილზე დატოვება. სხვა მოთხოვნილებები ეკონომიურია, რომელთაც ქვეით დავინახავთ.

ინციდენტს შემდეგ ბ. გარაევმა ბ. ჩივაძე დაითხოვა, მაგრამ, რადგანაც მუშებმა მოითხოვეს მისი იქ დარჩენა, ამისთვის მუშების დაკმაყოფილება აღმოჩნდა შეუძლებელი იმ შემთხვევაში თუ ჩივაძეს არ დატოვებდენ. როგორც ხედავთ მუშების კითხვა, ძალიან ცუდაც შეაქსოვეს ჩივაძის საქმეში. როგორც ს.-დ. ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილმა პარტიის წევრებმა გამოარკვიეს. საკმაო იყო ბბ. პროზეროვის და ჩივაძის ინციდენტის მოსპობა და გაფიცვა მაშინვე მოისპობოდა, რადგანაც ბბ. გარაევს და სტაროსელსკის ეკონომიურ კითხვებში თითქმის არაფერი ცილება ქონდათო; უკვე აღეთქვათ ცოტაოდენ შეცვლით მძთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ, ძალაუნებურათ, და არა სასიამოთ, ორგანიზაციების კაცებს უმთავრესათ ინციდენტზე უნდა მიექციათ ყურადღება. ასეც მოხდა.

რომ წერილი არ გაგრძელდეს, ვიტყვი რომ, საჭარო იყო ყოველი მხრიდან და ყველასგან დათმობა. ჩივაძე იძახოდა არ წავალ. პროზეროვი და გარაევი ამბობდენ, რანაირათ ვიცხოვროთ ამ ნაირი კაცის სიახლოვეს და ან რანაირათ ვაკეთოთ მასთან საქსეო. მუშები ამბობდენ მაგის წასვლას ვერ დავთმობთო. შეკითხვამ ადმოაჩინა, რომ პროზეროვს „მერზავეკი“ ჩივაძისთვის არ დაუძახია. ეს ჩივაძესაც არ გაუგონია, მხოლოდ ერთი მუშა ამბობდა: დაუძახა „მერზავეკი“ და სხვაკო. ჩივაძე დამნაშავე აღმოჩნდა თავის მხეკური მოქმედების გამო: მუშებთან და სხვებთან ბოდიში მოიხადა, ეს რომელიმე გაზეთშიაც უნდა გამოაცხადოს თვითონ. პროზეროვმა საერთო საქმის გარემოების გამო დაუთმო ჩივაძეს. გარაევმაც დათმო და თავის თავზე იდვა ბევრი რამ. რაც შეეხება ეკონომიურ კითხვას მუშები დაკმაყოფილეს და მუშაობა დაიწყეს მუშებმა; მიიღეს: 1—ქირაზე ოცი პროცენტი მომატება. 2—9 საათის სამუშაო დღე. 3—ექიმობა პიტომნიკში და მახლობელ სოფელში ოჯახშიაც. 4) წელიწადში ერთი თვე თავისუფლება ჯამაგირით; 5) დათხოვა და თავის დანებება ორივე მხარემ ერთი თვის წინ უნდა განაცხადონ. 6) რამდენათ შესაძლებელია პიტომნიკებვი მოყვანილი სანოვაგე მუშებს მიეცემა და სხვა. მუშები თავის ხარჯზე არიან.

ი. კ.

მუშათა ცხოვრებიდან

კვირას 9 ივნისს ქუთაისში მოხდა ადგილობრივ დურგალთა ბიუროს კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები:

1) შესახებ იმ პირთა, რომლებიც დურგალთა საერთო წესდებას არ ასრულებდენ.

2) პროფესიანალური კასის შესახებ.

პირველი კითხვის შეშახებ გადაწყვიტეს გაფრთხილება გამოეცხადებიათ ურჩებისათვის წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გვარებს გაზეთში გამოაქვეყნებენ. ერთხმათ გადაწყდა აგრეთვე საერთო კასის დარსება.

*** ტყიბულიდან გვატყობინებენ რომ ტყიბულის ნახშირის მაღაროების მუშებმა, რიცხვით 700 კაცამდე 8 ივლისიდგან გაფიცვა გამოაცხადეს; მიზეზი გაფიცვისა თავის დროზე სამუშაო ქირის მიუცემლობა არის. გაფიცულებმა წარუდგინეს,

შემდეგი ეკონომიური მოთხოვნილეანი:

1) რვა საათის სამუშაო დღე.

2) დღიური ქირაზე 40% მომატება (ეხლა დღიური ქირა ოთხიდგან ექვს აბაზამდეა).

3) დღიური ქირა ეძლეოდეს მუშებს თვეში ორჯერ.

4) ბინების და საავადმყოფოების გაუმჯობესება.

5) ავადმყოფი მუშების წამლობა ხაზეინის ხარჯზე,

6) გაფიცვისთვის არავინ იქნეს დათხოვნილი.

7) გაფიცულ დღეებში მუშებს ქირა მიეცეს.

*** მიხაკო ენუქიძის შეგირდების მოთხოვნილებანი:

1) შეგირდებს მიეცეთ დღეში ხარჯის ფულათ ხუთი შაური.

2) შეგირდებს მიეცეს ბინის ფულათ თითო მანეთი.

3) შეგირდებს მიეცეთ აბანოსი და სადალაქო თვეში ხუთი შაური.

4) შეგირდებს მიეცეს ორი წყვილი ტანისამოსი ზამთარ-ზაფხულ— აგრეთვე საცვლები.

5) შეგირდებს მოესპოს კერძო საქმეები, ე. ი. ოჯახში სამსახური

9) გაფიცვის დროს შეგირდებს ყოველი გვარი ხარჯი ჩვეულებრივათ მიეცეთ.

7) ზრდილობიანი მოპყრობა ხაზეინისაგან.

8) გაფიცვის გამო დათხოვნილი არავინ იქნეს.

რუსეთი

როგორც „სტრანა“ გადმოგვცემს, სამხედრო სამინისტროს 30 ივნისს ცირკულიარები დაუგზავნია, რომელშიდაც ნაბრძანებია, რომ ყველა სამხედრო ნაწილების შტაბებმა მოახდინონ ფარული აღწერა ყველა ეგრეთ წოდებულ „შეგნებული“ სალდათებისა, რომელნიც თვითოეულ განსაკუთრებულ ნაწილებში მსახურებენ. სამინისტრო წინადადებას იძლევა „შეგნებულ“ სალდათების პროცენტების აღნიშვნასთან ერთად საზოგადო ჯარის კაცთა რიცხვთან შედარებით, წარადგინონ შტაბებმა მოხსენებანი, თუ რა ზომები იქნა მათ მიერ მიღებული „შეგნებულების“ გასაშორებლათ დანარჩენი მასიდან?

— ძრწოდეთ ბნელეთის ძალებო, თქვენ ცირკულიარებსაც მალე მოეღება ბოლო, სწორეთ იმ „შეგნებული“ ჯარის კაცების დახმარებით, რომლებსაც თქვენ ასე უფრთხით.

—

„უმთავრეს სამხედრო შტაბში უკვე შეუკრებიათ ცნობები ჯარებში ამბოხების მოხდენის შესახებ. იმ კომიისიის სხდომაში, რომელმაც ამ ცნობების საშუალებით უნდა გამოიკვლიოს მიზეზები ჯარში არეულობისა დანიშნულია თურმე გენ. ლეიტანანტი პავლოვი“. ეს ის დიდებული გვამია, რომელიც ამას წინათ სათათბირომ ერთხმათ კინწის კვრით გამოაგდო კარში „ჯალათის“ ძახილით.

—

ვარშავიდან გუბერნატორი ტელეგრამით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს: ადგილობრივ დაბანაკებულ ჯარებში დიდი მღელვარეაა. ვილენის პოლკის კაზარმებში ყოველდღე ხდება შეერთებული სალდათებისა და მუშების მიტინგები, რომლებზედაც რევოლიუციონურ სიტყვებს ამბობენ. მღელვარების ჩასაქრობათ ლოდზიდან გამოწვეულმა ვარშავის პოლკმა მოთხოვნილება წარმოადგინა: ჩვენ უარს ვაცხადებთ ვარშავაში სამსახურზე, ვინაიდგან ჩვენ აქ საქმის მაგიერ ჩვენი ამხანაგების დასაწყნარებლათ გამოგვზავნეს. ჩვენ ლაგერიდან არ დავინძრევით, სანამ ჩვენ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებთ, და პოლკს თავის ადგილზე ლოდზში არ გაგზავნით. ვსცნობ რა შეუძლებლათ პოლკის ლოდზში გაგზავნას, ვინაიდგან საშიშია მუშების მღელვარება მათაც არ გადაედოთ—ვსთხოვ თქვენ აღმატებულებას მიიღოთ შესაფერი განკარგულებანი“.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუგზავნია გუბერნატორებისათვის ცირკულიარი შემდეგი შინარსიის:

„წინადადებას ვაძლევ თქვენს აღმატებულებას, რაც შეიძლება ფართოთ ისარგებლოთ თქვენდამი მონიჭებული გაზეთების კონფისკაციის უფლებით, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსისაა

დეპეშები.

(პეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან)

10—11 ივლისი.

პეტერბურგი. გუშინდელმა დღემ ჩვეულებრივათ ჩაიარა; სათათბიროს დათხოვნის ამბავს მცხოვრებლები აუღელვებლად ეგებება. მოსკოვიდან, ეიტომირიდგან, იაროსლავიდან და ბაქოდანაც ამასვე გვატყობინებენ.

ესენტუკი. წყლებზე მოსულმა მოაგარაკენმა გაიგეს თუ არა სათათბიროს დათხოვნა, საჩქაროთ გადიან აქედგან.

საზრახი. ქალაქში და მთელ მაზრაში, მთავრობის მიერ გამოცხადებულ იქმნა საგანგებო დაცვის წესები.

„ნოვოე ვრემია“-ს გაუგია, სათათბიროს წევრნი რიცხვით 185 კაცი შეკრებილან ქალაქ ვიბორგში, თავმჯომარეობს მურომცევი; გადაწყვიტეს წინასწარ მოლაპარაკებაზე არ დაუშვან პრესის წარმომადგენლები და არც კადეტების ცენტრის წევრნი. სათათბირო გაიხსნა სალტუმრო „ბელვედერის“ დარბაზში.

გელსინგფორსი. ქალაქ გარეთ წითელმა გვარდიამ და მუშებმა გამართეს მიტინგი; დაესწრენ ორასამდე რუსებიც: მათ რიცხვში სათათბიროს წევრნი: მიხაილჩენკო, გომართელი და მწერალი ანდრეევი. სიტყვები წარმოთქმულ იქმნა რუსულადაც—სათათბიროს რუსეთისთვის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. ანდრეევს მუშებმა გაუმართეს ოვაცია.

ეკატერინოდარი. იურბურგში ცეცხლისაგან გადაიბუგა 150 ებრაელების შენობები.

პეტერბურგი. „ბირჟ. ვედ“. იტყობინება, რომ პობედონოსცევის კაბინეტში საწერ მაგიდის ქვეშ იპოვნეს ორი ასაფეთქებლათ გამზადებული ყუმბარა.—ბოროტ გამზრახველნი ვერ იპოვეს. ოფიციალური „როსია“ აგრე ხსნის სათათბიროს დათხოვნას: „რადგან საჭირო იყო შეგვენახა ხალხის წარმომადგენლობითი უფლება და შეგვექმნა ის ნამდვილ მუშაკად, უმაღლეს მთავრობას მეტი გზა არ ჰქონდა, რადგან სცნო ეხლანდელი სათათბირო უნიჭოთ და უძლურად თავის მიზნის მისაღწევათ.

ორიოლი. ღამით მიტინგებიდან დაბრუნებული გროვა დაეცა თოფის წამლის საწყობ სარდაფს. დარაჯებმა ასტეხეს თოფის სროლა და გროვა იძულებული შეიქნა დაშლილიყო. დაატუსაღეს სრულიად უდანაშაულო გლეხი.

კიევი. სოფ. ველიკი ერჩკასში გლეხთა ჯგუფმა მოინდომა დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება; დარაჯებმა ესროლეს თოფები; სროლის დროს დაიჭრა პატარა გოგო. იმ დღესვე, როდესაც გლეხებთა შორის კიდევ განაგრძობდნენ ამხანაგების დატუსაღებას, გლეხები შეიარაღდნენ ვის რათაც შეეძლო და დაერივნენ დარაჯთ, დრაგუნებს და გარეკეს ისინი; დაჭრილია ორი გლეხი.

პეტერბურგი. გაკრეს გრადონაჩალნიკის განცხადებები, რომლითაც აკრძალულია კრებები, წითელი ბაირაღების გამოფენა, სიმღერა, თოფის სროლა, სიტყვების წარმოთქმა პროკლამაციების გავრცელება და სხვა. დამნაშავეთ გადახდებათ ჯარიმა 3000 მან. ან დატუსაღებულ იქნებიან სამ თვემდის. უმაღლესი ბრძანებით, დათხოვნილ იქმნენ სინოდის ობერ პროკურორის თანამდებობისაგან თავადი შიხმატი შირინსკი.

ვიბორგი. „რეჩი“ გვატყობინებს, უკვე ჰქონდათ სათათბიროს წევრთ ფრაქციული კრებები. მსჯელობა ჰქონდათ მუშათა ჯგუფს, ხალხის თავისუფლების და სოციალდემოკრატიულ პარტიებს, ვერ შესდგა კრება 17 ოკტომბრის პარტიისა, რადგან მაგათი რიცხვი უმნიშვნელოა. გადასწყვიტეს სათათბიროს მსჯელობაზე არ დაუშვან ზოგიერთი წევრნი სახელმწიფო საბჭოსი, რომელნიც შუალამის ორ საათზე ჩამოვიდნენ ვიბორგში.

კამათი გადიდვა ხვალისთვის. ხვალვე მოელიან პოლიაკების პარტიას „კოლო“-ს. მურომცევმა მიიღო მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის ცნობა, რომლითაც ატყობინებს მას, ყოველივე ფულის ანგარიშები ჩააბაროს სახელმწიფო მდივანს. სათათბიროს წევრთ კი, მიეცემათ რაც სახლამდის მისასვლელი ხარჯები დასჭირდებათ. ეხლა პეტერბურგში მოათავსეს 40 ბატალიონი ქვეითა ჯარი, გვარდიის კავალერია, 4 ტყვიის მტყორცნელი როტა. პეტერბურგის რკინის გზის სადგურები ყველა დაჭერილია ჯარებით. გუშინ ბაღის ქუჩაზე „ნამდვილ რუსების ხალხის კავშირის“ საჩაიჯსთან შეტაკება მოხდა ხალხს და ჟანდარმებს შორის.

ბაქო. მუშების გაფიცვა ვრცელდება, შესდგა მიტინგი, რომელზედაც გადასწყვიტეს: შესწყვიტონ მუშაობა. გაიფიცა როდშილდის მუშებიც.

სარკოზი. დილით, როდესაც საპყრობილეში პური შეჰქონდათ და ჭიშქარი ღიათ იყო, გაიქცნენ 50 ტუსაღი. დარაჯებმა ასტეხეს სროლა, დასჭრეს სამი და დაიჭირეს ოცი, დანარჩენები გაიქცნენ; დაადევნეს კაზაკები და დრაგუნები.

პეტერბურგი. დაიჭირეს გაზეთ „რეჩის“ და „დვაცატი ვეკის“ ნომრები.

ვიბორგი. შემუშავებულ ტექსტზე ხალხის მოწოდებისა, ხელი მოაწერეს ყველა სათათბიროს წევრმა, გარდა გეიდენისა და სტახოვიჩისა. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის განკარგულების ძალით, ვიბორგის გუბერნატორმა აცნობა სათათბიროს წევრთ შესწყვიტინ თათბირი.

გრაფმა გეიდენმა და სტახოვიჩმა დაჰყვეს სათათბიროში სულ $^1/_2$ საათი და საჩქაროთ გაბრუნდნენ პეტერბურგში.

პეტერბურგი. (ოფიციალური) გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება, შეჩერებულ იქმნას სახელმწიფო საბჭოს მოქმედება, ვიდრე 20 თებერვალამდე, 1907 წლისა.

პეტერგოფი. ტაგანროგის მაზრაში (დონის ოლქი) გამოცხადებულ იქმნა სამხედრო წესები.

ჯალუგა. მასალსკის მაზრაში, დაბა სპარსუდენსკში, დაარბიეს და მილეწმოლეწეს ბოქაულის ბინა და ზოგიერთი ებრაელების სახლებიც, დარაჯებმა ასტეხეს სროლა, მოკლულია ორი—დაჭრილია ხუთი.

ბოლტავა. დიკანკაში ვიცე-გუბერნატორ კატერინიჩის ზედ-გავლენის წყალობით, გაფიცულმა მუშებმა დაიწყეს მუშაობა. დღეს ჟუკაში დაატყვევეს რამოდენიმე კაცი; ვიცე-გუბერნატორი კაზაკების თანხლებით განაგრძობს იმ ადგილების შემოვლას, სადაც-კი გაფიცვები ხდებოდა.

ვარშავა. დილით დოლგის ქუჩაზე რამდენიმე შეიარაღებული კაცი შეუვარდა სახლში სახლის პატრონს. გლოდზინსკის მსუბუქად დასჭრეს და მიიმალნენ.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგი პუტილოვი, თანახმად მისივე თხოვნისა, სამსახურიდან დათხოვნილ იქმა ავადმყოფობის გამო.

სარატოვი. სერდობის მაზრაში გლეხები სწვავენ მემამულე კრივინსკის ფუძეებს; ხოცვენ საქონლებს. იმ გლეხებთ, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ ამ მოძრაობაში გადაწვას ემუქრებიან.

თბილისი. დილით აქ ქუჩაზე სამმა შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა თბილისის, რკინის გზის სადგურის, ყოფილი უფროსი ბელევიჩი; წაართვეს 2000 მანეთი და მიიმალნენ.

ნოვობოიაზეთი. შანუნის თათრები დაეცნენ სომხების სოფელს, თოფების გასროლის შემდეგ გარეკეს ცხვრის ფარა, დასჭრეს სამი—დაატუსაღეს ორი.

რედაქტორ-გამომცემელი
ალ. გ. რუხაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ი. კილაძისა და ი. ხელაძისა—ქუთაისში.